

რელიგიური პლურალიზმი, ექსტრემიზმი და დემოკრატია:

მონიტორინგი და დებატები

მშვიდობის დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

Caucasus Institute for Peace, Democracy and Development



თბილისი წერეთლის გამზირი #
72 ტელ: +995 32 235 51 54 / 235 77
37 ელ-ფოსტა : info@cipdd.org

ოქტომბერი-დეკემბერი,
2016

Newsletter N. 1

სახელმწიფო, პოლიტიკა, სეკულარიზმი

12.11.2016

დასავლეთ ევროპის ეპარქია საკუთარ facebook გვერდზე ავრცელებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ს განცხადებას, რომელიც მიემართება აშშ-ს ახლად არჩეულ პრეზიდენტს.

„მის აღმატებულებას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს!

თქვენო აღმატებულებავ, საქართველოს მართლამდიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ აშშ-ს პრეზიდენტად არჩევას. ჩვენს რთულ დროს ეს

ფრიად საპატიო, მაგრამ მძიმე ტვირთი უფლის განგებით დღეს თქვენ დაგეკისრათ. ინებოს ღმერთმა, თქვენი მსახურება იყოს, მშვიდობისა და კეთილდღეობის განმამტკიცებელი, სამართლიანობის აღმდგენი და შემდგომი წარმატების მომტანი როგორც თქვენი ქვეყნის, ისე მსოფლიოსათვის, მათ შორის საქართველოსთვის. ღმერთმა დაგლოცოთ,

პატივისცემით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

31.10.2016

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის დეკანოზი პეტრე კოლხი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდეგ საკუთარ facebook გვერდზე განცხადებას ავრცელებს. მის განცხადებაში ნათქვამია, რომ ის არასდროს ყოფილა კონკრეტული პოლიტიკური ლიდერის ან პარტიის მხარეს. *„დამთავრდა არჩევნები! მოგებულოც გამოვლინდა დაწაგებულოც. ნაოცნებარი დროშების ფრიალით გავიგეთ, რომ გამოვლინდა ხალხის თავისუფალი ნება. მომავალი ოთხი წელიც სასიკეთო ცვლილებები თუ არა ოცნება მაინც გარანტირებული გვაქვს... ოთხ წელიწადში არ მაქვს იმედი (ღმერთმა ქნას ვცდებოდე) საკუთარ ოჯახთან ენგურს გადაღმა დარჩენილი საქართველოს მონახულების...“*

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არც წინასაარჩევნო პერიოდში და არც არჩევნების შემდგომ საპატრიარქოს ამ საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. იდენტური მდგომარეობა შეინიშნება სხვადასხვა სასულიერო იერარქების პირად გვერდებზე სოციალურ ქსელებში.

4.12.2016

Interpressnews.ge

საერთაშორისო კონფერენციაზე „რელიგიური ტოლერანტობის ტრადიციები კავკასიაში და აზერბაიჯანის მულტიკულტურულიზმის მოდელი“ მონაწილეებისადმი მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს პატრიარქმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს მიმართა, ხოლო ამიერკავკასიის მუსლიმთა საბჭოს თავმჯდომარეს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისა და სიყვარულისთვის.

„თქვენო აღმატებულებავე, აზერბაიჯანის პრეზიდენტო, ბატონო ილჰამ ალიევ, თქვენო აღმატებულებავე, შეიხ-ულ-ისლამ ალლახშუქურ ფაშა-ზადე,

დიპლომატიური კორპუსის წევრებო, რელიგიათა წარმომადგენლებო,

ქალბატონებო და ბატონებო!

გულითადად მოგესალმებით საქართველოს უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით და გამოვთქვამთ კმაყოფილებას ასეთ ავტორიტეტულ შეხვედრაზე ჩვენი წარმომადგენლების მიწვევის გამო. ეს კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ჩვენს ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური და მეგობრული დამოკიდებულებისა, რაც სხვა დროსაც არაერთხელ გამოვლენილა მაღალი დონის შეხვედრებზე, კონფერენციებზე, რელიგიურ და სახელმწიფო ლიდერთა ურთიერთობაში.

მადლობას ვუხდით პრეზიდენტ ილხამ ალიევს ჩვენი ქვეყნის თანადგომისათვის; მადლობას ვუხდით ამიერკავკასიის მუსლიმთა საბჭოს თავმჯდომარეს, ალაჰ შუქურ ფაშა-ზადეს მისი მხარდაჭერისა და სიყვარულისთვის.

ურთიერთპატივისცემა ჩვენი ერების თვისებაა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ჩვენთან არსებული სხვა და სხვა რელიგიის სამლოცველოები, ახლად აშენებული და ძველიც. ისინი დღესაც სიცოცხლით სავსე ცხოვრებას ეწევიან; მათ შორის ჩვენი ეკლესიები, რომელიც ჰერეთში, კახის რაიონში, ფუნქციონირებენ და სამასზე მეტი მეჩეთი და ჯამე და ათზე მეტი აზერბაიჯანელთა რელიგიური და კულტურული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში მოქმედებს.“

<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/409215-ilia-meore-thanamedrove-mothkhovnebi-ckhovrebis-chveneul-tsess-unda-shevusabamoth-rom-ar-movtsyedeth-fesvebs.html?ar=A>

11.11.2016

დეკანოზი თამაზ ლომიძე საკუთარ facebook გვერდზე განათლების მინისტრის მიერ გაკრიტიკებული ზღაპრების კრიტიკას ეხმაურება. ის აცხადებს, რომ სრულად იზიარებს მინისტრის მიდგომას და ეთანხმება, რომ ყველაფერი საჭიროებს განახლებას, მათ შორის ზღაპრებიც. „*მეც მიყვარდა ნაცარქექიას*

ზღაპრები, მაგრამ ახლა ვთვლი, რომ ცუდი ზღაპრია ბავშვებისთვის. ზარმაც და რეალურად არაფრისგამკეთებელ ნაცარქექიას სახლიდან აგდებენ. ისიც მიდის და შეჯიბრში ტყუილებით მოიპოვებს სხვის ქონებას... ნაცარქექიას სიბრძნე მის ტყუილებში გამოიხატება, რომელსაც მოხერხებულობას უწოდებს ქართველი და ამბობს „ხერხი სჯობიაო ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“-ო გვეტყვიან, ეს იმიტომ. რომ მცირერიცხოვან და უძლურ ქართველს ხანდახან ხერხით უნდა გადაერჩინა თავიო. კი მაგრამ ამ ხერხებს ხომ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ვიყენებთ ქართველნი?!...“

15.11.2016

<http://patriarchate.ge>

ნარკოტიკული საშუალებებთან დაკავშირებით დააკავეს ორი სასულიერო პირი: ბერი ფილიპე ფხაკაძე და გიორგი მეგრელიშვილი. მომხდართან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს კითხვებით მიმართეს მოქალაქეებმა, რის შემდეგაც მათ უპასუხეს შემდეგი განცხადებით: „შევნიშნავთ, რომ სამივე მათგანს საეკლესიო სასჯელი უკვე დადებული აქვს, რაც შეეხება მათ ამჟამინდელ ქმედებებს, ეს სისხლის სამართლის საქმეებია და საერო სამართლით უნდა განისაჯოს.“

ჩვენ არაერთხელ გვაქვს გაცხადებული და კვლავაც გავიმეორებთ, რომ მოძღვრობა ამა თუ იმ პიროვნებას გაცილებით მეტ სულიერ-ზნეობრივ ვალდებულებას აკისრებს; **ეს მდგომარეობა არ არის იმუნტიტი, რომლითაც შეიძლება სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვინმემ აიცილოს.** ნებისმიერი მოქალაქე, მათ შორის სასულიერო პირი, ვალდებულია, დაიცვას საყოველთაოდ აღიარებული კანონი და მისი დარღვევის შემთხვევაში აგოს პასუხი.“

<http://patriarchate.ge/geo/saqartvelos-sapatriarqos-gancxadeba-15-11/>

29.12.2016

დეკანოზი ანდრია კემულარია, სოციალურ ქსელში დეპუტატ ალექსანდრე ერქვანიას განცხადებას ეხმაურება, რომელიც გაკეთდა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე და ნათქვამია, რომ **„ქართველი ერის უმთავრესი ფუნქცია იყო, არის და იქნება შექმარატი მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვა და განმტკიცება“.** დეკანოზი აღნიშნულტან დაკავშირებით აცხადებს, რომ სასიამოვნოდ გასაოცარი ფაქტია, რადგანაც მსგავსი იდეების გამჟღავნებას თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში დიდი გამბედაობა სჭირდება.

4.12.2016

Liberali.ge

თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, „უწმინდესმა საპატრიარქოში თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის ხელმძღვანელობას უმასპინძლა“.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ საპატრიარქოში თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა მიიღო. **პატრიარქმა სამინისტროს ახალი გუნდი დალოცა და ქვეყნის სამსახურში წარმატება უსურვა.** პატრიარქთან საუბრისას, თავდაცვის მინისტრმა უწყებაში დაგეგმილი რეფორმების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და ილია II-ს შეიარაღებული ძალების თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

პატრიარქმა შეხვედრაზე ვრცლად ისაუბრა მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აუცილებლობაზე, შეიარაღებული ძალების განვითარებასა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელიც, პატრიარქის აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სამხედრო სამსახურის სრულყოფისთვის.

<http://liberali.ge/news/view/26295/tavdatsvis-saministro-utsmidesma-saministros-akhali-gundi-dalotsa>

* * * *

5.12.2016

Ambebi.ge

სტატიაში დეკანოზი თამაზ ლომიძე საუბრობს, იმაზე რომ, **მღვდლის სტატუსი გათანაბრებული უნდა იყოს ჩვეულებრივი მოქალაქის სტატუსთან და არ იყოს პრივილეგირებული მისი ამ წოდების გამო.**

„მე თუ ვხედავ, რომ მხოლოდ ჩემი მღვდლობის გამო, პატრული კანონს არღვევს და არ მაჯარიმებს იქ, სადაც სხვა ჩემს თანამოქალაქეს აუცილებლად დააჯარიმებდა, უნდა გამოვაწერინო კუთვნილი ჯარიმა. მძიმე იქნება ჩემთვის და ამით გავირთულე ცხოვრებას, მაგრამ მეცოდინება, რომ მართალი ვიყავი ღმერთის და ქვეყნის წინაშე.“

<http://www.ambebi.ge/faceambebi/185330-qthu-vkhedav-rom-mkholod-chemi-mghvdlobis-gamo-patruli-ar-majarimebs-unda-gamovatserino-kuthvnili-jarimaq-dekanozi-thamaz-lomidze.html>

* * * *

14.12.2016

დეკანოზი პეტრე კოლხი სოციალურ ქსელში შემდეგ მოსაზრებას აქვეყნებს: „არაერთხელ დამდგარა ყოფნა არყოფნის საკითხი, მაგრამ **სარწმუნოებას ყოველთვის გადამწყვეტი როლი უთამაშია ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე.** უძლეველი სახელმწიფოების ფონზე საქართველო მუდამ სულს ღაფავდა. ხშირად უნიათო პოლიტიკოსების წყალობით აქამდე არც უნდა მოგვეღწია. რელიგია ყოველთვის აერთიანებდა დანაწევრებულ ხალხს თუ ტერიტორიებს...“

NATO, ევროკავშირი

15.11.2016

<http://patriarchate.ge>

საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები 12 ნოემბერს ბრიუსელიდან საქართველოში დაბრუნდნენ. საპატრიარქო ვებ. გვერდზე **ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს ბრიუსელში**

ვიზიტის შესახებ, სადაც აღინიშნება, რომ ვიზიტი იყო გაცნობითი ხასიათის და მან მაღალ დონეზე ჩაიარა.

„ამასთან, აღმოჩნდა, რომ ნატოშიც და ევროსტრუქტურებშიც არასწორი ინფორმაცია ქონდათ საქართველოს ეკლესიის შესახებ და ჩვენც არასწორი წარმოდგენა გვქონდა მათ პოლიტიკასთან მიმართებაში რიგ თემებთან დაკავშირებით.

მაგ. საქართველოში სასწავლო დაწესებულებებიდან ამოღებულია რელიგიის სწავლება და, ვითომცდა დასავლური პოლიტიკიდან გამომდინარე, იკრძალება რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე საუბარი.

ევროკავშირის ქვეყნებში კი ეს საგანი სხვა და სხვა ფორმით არის შეტანილი იმის მიხედვით, თუ სად რა მოთხოვნილებაა. მაგ. ბელგიაში, სადაც სახელმწიფო აღიარებს რამდენიმე მიმდინარეობას: კათოლიციზმს, მართლმადიდებლობას, ლუთერანობას, იუდაიზმსა და ისლამს, სახელმწიფო ხელს უწყობს და ფინანსურად უზრუნველყოფს ნებისმიერი ამ აღმსარებლობის მქონე მოსწავლის თუ სტუდენტის სურვილს, მიიღოს რელიგიური განათლება. ჩვენთან კი პრობლემებს ქმნიდნენ.

საქართველოში, როგორც ცნობილია, გარკვეული ძალები ეწინააღმდეგებიან ოჯახის, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის განმსაზღვრელი პუნქტის ჩაწერას კონსტიტუციაში, იმ მოტივით, თითქოს ეს ევროინტეგრაციის პროცესს შეუშლის ხელს. “

<http://patriarchate.ge/geo/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A5-2/>

აღნიშნულ ვიზიტს ეხმაურება, დელეგაციის ერთ-ერთი წევრი არქიმანდრიტი იოვანე მჭედლიშვილი, რომელიც სოციალურ ქსელში ნატოს შტაბ-ბინის წინ გადაღებულ ფოტოს ავრცელებს და სოციალური ქსელის მომხმარებლებს პასუხობს რომ საქართველოს აქვს ევროპული მომავალი.

რუსეთი

27.11.2016

არქიმანდრიტი ანტონი კანდელაკი საკუთარ facebook გვერდზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის კარიკატურას ავრცელებს თანდართული ტექსტით, რომ ბოლო დროს მხოლოდ ორმა ქვეყანამ, თურქეთმა და საქართველომ შეძლო დაპირისპირებოდა აგრესორს და თუ სხვა ქვეყნებიც შეძლებენ იგივეს ის „დაიოკებს“ ამბიციებს. არქიმანდრიტი საუბროს ჰიპოთეტურ დაშვებებზეც, რომ ეს განცხადება საზოგადოების ნაწილში გააჩენს შემდეგ მოსაზრებას : თითქოს ის მუსლიმების მხარეს არის,

მაგრამ ამავე საზოგადოებას შეახსენებს ერთმორწმუნეობის ფაქტსაც, რომელსაც გამოვლილ სამხედრო დაპირისპირებებში შედეგი არ გამოუღია.

22.11.2016

1TV.ge

საქართველოს პატრიარქმა რუსეთის პატრიარქს 70 წლის იუბილე მიულოცა და რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის სტაბილიზაციის აუცილებლობაზე ისაუბრა.

„ჩვენ ვაფასებთ რუსეთის ეკლესიის პოზიციას, რომელმაც არაერთხელ განაცხადა, რომ აღიარებს ამ რეგიონებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას. იგივე მტკიცედ ითქვა 19 ნოემბრის ჩვენ შეხვედრაზეც.

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების დარეგულირება ორივე ქვეყნისთვის ფრიად მნიშვნელოვანია; ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს.

ვფიქრობ, საქართველო უნდა იყოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის ადგილი, ადგილი კეთილმეზობლობისა. დაპირისპირება კი ძალიან საშიშია და შეიძლება გლობალურ კონფლიქტში გადაიზარდოს.

მართალია, ჩვენ არა ვართ პოლიტიკოსები და არ ძალგვიძს ამ სფეროში სერიოზული ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ, ღვთის შეწევნით, პროცესებზე გავლენის მოხდენა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია.“

<http://1tv.ge/ge/news/view/142089.html>

სასჯელაღსრულების სისტემა და ეკლესია

16.12.2016

ინფორმაციას, რომ ქსნის N 15 პენიტენციურ დაწესებულებას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი ესტუმრნენ, სოციალურ ქსელში დეკანოზი ილია ჭილაძე ავრცელებს. ილია მეორემ წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი აკურთხა, რომელიც სამინისტროს თანამშრომლებისა და მსჯავრდებულთა მონაწილეობითა და შემოწირულობებით აშენდა. პატრიარქმა პატიმრებთან ერთად, მინისტრი კახი კახიშვილი და მისი მოადგილეები დალოცა.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, საპატრიარქო

22.12.2016

Patriarchate.ge

2016 წლის 22 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მდივნად დაინიშნა ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე). წმიდა სინოდის წევრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და გააცნო სხდომის საკითხები. **წმ. სინოდმა იმსჯელა მომქმედ ტაძრებთან არსებულ საკვირაო სკოლების შესახებ** და განაჩინა: დაევალოს რუსთაველ მიტროპოლიტი იოანეს (გამრეკელი), რომ სასწავლო ცენტრმა შეიმუშაოს პროგრამები საკვირაო სკოლებისთვის შემდეგ საგნებში: საღმრთო სჯული, საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა, კულტურა, ყოფა-ცხოვრების წესები და ტრადიციები (ეთნოგრაფია). ცენტრმა ასევე ხელი უნდა შეუწყოს პროგრამების მიხედვით სათანადო ლიტერატურის შერჩევას და გაუწიოს მონიტორინგი აღნიშნული სკოლების მუშაობას. წმიდა სინოდმა იმსჯელა საქართველოს მართლმადიდებელ ეპარქიებში დღეისათვის არსებულ ვითარებაზე. მღვდელმთავრების მიერ გამოითქვა მოსაზრებები საგანმანათლებლო საქმიანობისა და ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების გზებზე. ასევე მოსმენილ იქნა ინფორმაცია ბოლო დროს მას-მედიასა და სოციალურ ქსელში ეკლესიასთან მიმართებაში გავრცელებული სხვადასხვა სახის ტექსტებისა და ქადაგებების თაობაზე. მათ მიმართეს მრევლს და სასულიერო პირებს, რომ გამოიჩინონ კეთილგონიერება და არ აჰყვნენ პროვოკაციებს, რაც ხელოვნურად არის გამოწვეული იმ ადამიანების მიერ, რომელთაც სურთ საჯარო სივრცის დესტაბილიზაცია.

<http://patriarchate.ge/geo/wmida-sinodis-sxdomis-oqmi-22/>

ადამიანის უფლებები

4.11.2016

არქიმანდრიტი იოვანე მჭედლიშვილი საკუთარ facebook გვერდზე ეხმაურება **აბორტის** თემას, რასაც ის უმძიმეს ცოდვად მიიჩნევს და ციტირებს სერბეთის პატრიარქის სიტყვებს : „*თუ ალბანელი ქალი შვიდ შვილს აჩენს, სერბი კი შვიდ აბორტს იკეთებს, მაშინ ეს მიწა ალბანელებს უფრო სჭირდებათ, ვიდრე სერბებს.*“

27.11.2016

დეკანოზი გიორგი ჯგუშია საკუთარ facebook გვერდზე აზიარებს ერთ-ერთი ქართული პოპულარული სერიალის ტრანსგენდერი პერსონაჟის ფოტოს და წერს, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ახდენენ ადამიანების ზომბირებას, შემდგომში კი ეს ზომბირებული ინდივიდები ქმნიან მომაკვდავი და ჩამქრალი საზოგადოების ბირთვს.

* * * *

9.12.2016

Patriarchate.ge

პატრიარქმა საპატრიარქო რეზიდენციაში აბორტით მოწყვეტილი ბავშვების დედები მიიღო და განაცხადა, რომ ათეისტური რეჟიმის პირობებში მრავალი ადამიანი ვერ აცნობიერებდა, რამდენად დიდი ცოდვაა აბორტი და მას უბრალო მოვლენად აღიქვამდა. მას შემდეგ, რაც ჩვენი მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ეკლესიური ცხოვრება დაიწყო, დედებს, რომელთაც მუცლადღებულ ყრმათა მოწყვეტის დანაშაული აწუხებთ (მათ შორის ექიმ-გინეკოლოგებიც არიან) გაუჩნდათ სურვილი, თავისი სინანულის გამოსახატად ააგონ ტაძარი ყოვლადწმინდა სამების სახელზე.

ამ მიზნით, დღეს, 9 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოში შეიკრიბა ტაძრის მაშენებელთა სამუშაო ჯგუფი.

ისინი დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და დაწყებული საქმის წარმატებით განხორციელება უსურვა. ეკლესია აიგება ხუდადოვის ტყის მიმდებარედ.

<http://patriarchate.ge/geo/katolikos-patriarqma-dedebi-sapatrariqo-rezidenciashi/>

* * * *

15.12.2016

არქიმანდრიტი ილარიონი სოციალურ ქსელში აქვეყნებს აბორტების ამსახველ დინამიკას, სადაც ჩამოთვლილ (ევროპულ) ქვეყნებს შორის ლიდერობს რუსეთი და აკრიტიკებს იმ ადამიანებს ვინც ევროპას გარყვნილებასთან, ხოლო რუსეთს ერთმორწმუნეობასთან აკავშირებს და დასძენს : „საქმემან შენმამ გამოგაჩინოს შენ.“

* * * *

15.12.2016

დეკანოზი პეტრე კოლხი საკუთარ facebook გვერდზე წერს, ნიკა ჩერქეზიშვილის შესახებ, რომელიც კანცელარიის წინ საპროტესტო აქციებს მართავდა ხელისუფლების წინააღმდეგ და აპროტესტებდა სამსახურიდან უსამართლო გათავისუფლების პრეცედენტს. ის ამბობს, რომ მისი როგორც სასულიერო პირის და ასევე მოქალაქეების ვალია, ვიდგეთ მის გვერდით და

დავიცვათ თოთოეული ადამიანის უფლება და ძირითადი ღირებულებები. „დღეს ნიკაა, ხვალ შეიძლება ჩვენ შეგვეხოს, ამიტომ დავდგეთ იქ, სადაც მართლა ქარიშხალია და ერთსულოვნება დავანახოთ მათ, ვინც საკუთარი კაბინეტებიდან ცენობისმოყვარეობით დაგვეყურებს ზემოდან.“ დეკანოზი ციტირებს შემდეგს: „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ რჯული იგი ქრისტესი.“

16.18.2016

დეკანოზი თამაზ ლომიძე აზიარებს სირიაში მომხდარი ტრაგედიის ამსახველ ემოციურ ვიდეოს და მიუთითებს რომ „არ არსებობს „წმინდა“ ომი. ომი ყოველთვის სისხლისღვრასთან არის დაკავშირებული და არ შეიძლება ის რელიგიასთან რაიმე სახის კავშირში იყოს. კომენტარების ველში ის აკრიტიკებს რუსეთის პატრიარქს და წერს, რომ არ არსებობს წმინდა ომი. ყველა ომი უდიდესი საშინელებაა. ჯოჯოხეთს წმინდა ომს უწოდებს რუსეთის პატრიარქი. სიტყვების პოვნაც კი ძნელია ასეთი საშინელი და ბოროტი აზროვნების შესაფასებლად.“

18.12.2016

დეკანოზი ილია ჭილაძე სოციალურ ქსელში აქვეყნებს, სირიის ქალაქ ალეპოში მომხდარი ტრაგედიის ფოტომასალას შემდეგ წარწერით : „სატირალია“ და კომენტარების ველში ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დაღუპული, ქალების, ბავშვების და ზოგადად, ადამიანების შესახებ.

24.12.2016

დეკანოზი ილარიონ შენგელია სოციალურ ქსელში ეხმაურება ნაციონალისტური ჯგუფების აქციას, რომელიც მოეწყო უცხოელი ლტოლვილების მიღების წინააღმდეგ. აღნიშნულის შესახებ ის წერს, რომ ნაციონალისტური ჯგუფების მოთხოვნები არის ანტიქრისტიანული, შეუცავს ფაშისტურ ელემენტებს. „ქრისტე საპირისპიროს გვასწავლის - „რამეთუ მშობდს და მიეცით მე ჭამადი, მწყუროდა და მასუთ მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე, რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირედთაგანსა ძმათა ჩემთასა ,იგი მე მიყავთ.“

29.12.2016

დეკანოზი ილია ჭილაძე საკუთარ facebook გვერდზე აზიარებს ვიდეოს, რომელშიც ასახულია აბორტის შემდგომი ემბრიონის მდგომარეობა. ის აბორტს ასახელებს უმძიმეს ცოდვად და აქცენტირებს იმაზე, რომ აბორტი უთანაბრდება მკვლელობას. კომენტარების

ველში, ის ეწონა აღმდეგება სოციალური ქსელის მომხმარებელს, რომელიც წერს, რომ ქალები პირუტყვები არიან და ამბობს, რომ ხშირად ეს კაცების ძალდატანებით ხდება.

რელიგიის თავისუფლება და რელიგიური ფანატიზმი

12.12.2016

არქიმანდრიტი იოვანე მჭედლიშვილი საკუთარ facebook გვერდზე წერს მორწმუნე და ურწმუნო ადამიანების შესახებ და აღნიშნავს, რომ ურწმუნოსა და მორწმუნეს შორის ისეთივე დიდი განსხვავებაა, როგორც ქანდაკებასა და ცოცხალ ადამიანს შორის.

13.12.2016

არქიმანდრიტი იოვანე მჭედლიშვილი საკუთარ facebook გვერდზე წერს მორწმუნე და ურწმუნო ადამიანების შესახებ და ციტირებს შემდეგ მოსაზრებას : „*ვინც ეკლესიაში დადის, საზოგადოების უკეთეს ნაწილს წარმოადგენს. შევადაროთ ეკლესიაში მოსიარულე ათასი კაცი და ათასი - მის გარეთ მყოფი. დანაშაულებათა პროცენტები მორწმუნეებში ნაკლებია. სამართლიანად ამბობენ, როცა ტაძრები იხურება, იხსნება საპატიმროები და პირიქით, როდესაც ტაძრები იხსნება - საპატიმროები იხურება.*“

13.12.2016

დეკანოზი ილია ჭილაძე სოციალურ ქსელში წერს რელიგიური ფანატიზმის შესახებ, რომ **რელიგიური ფანატიზმი და სიბნელე ყველანაირ ფანატიზმზე და სიბნელეზე** საშინელია, ის განუზომლად საშიში და მავნებელია ვიდრე სხვა მავნე იდეოლოგიები ერთად აღებული, რადგან ის აყალბებს ჭეშმარიტებას. ანადგურებს ჭეშმარიტ რელიგიურობას და ხელს უწყობს ურწმუნოებას. აღნოშნული პოსტი მიემართება სასულიერო პირების, დეკანოზ თეოდორე გიგნაძეს და დეკანოზ ალექსანდრე გალდავას მიმართ წამოყენებულ ბრალდებებს დავით ისაკაძის მიერ, რომელსაც დეკანოზი ილია ჭილაძე შავრაზმელ ფანატიკოსს უწოდებს და წერს რომ ის აზიანებს ქრისტეს სხეულს.

ეკოლოგიის საკითხები

17.12.2016

დეკანოზი ილარიონ შენგელია სოციალურ ქსელში წერს, რომ ბუნება ადამიანის მეგობარია, იგი იმისთვისაა შექმნილი, რომ მეგობარი და დამხმარე იყოს და არა მონა და ჯალათი. ადამიანები, რომლებიც ბუნებას მონად აქცევენ, თვითონ ხდებიან მისი მტერი და ჯალათნი.

„ხალხები, რომლებიც ბუნებას სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებენ, საკუთარ თავზე უმარავ უბედურებას მოიწვევენ და მოიწვევენ, რამეთუ ის, ვინც ბუნებასთან მშვიდობიან ურთიერთობას დაარღვევს, უცილობლად დაარღვევს აგრეთვე კეთილ დამოკიდებულებას ღმერთთან.“

31.12.2016

დეკანოზი ანდრია კემულარია საკუთარ facebook გვერდზე წინასაახალწლოდ ნამძვის ხეების განადგურების ფაქტებს ეხმაურება და წერს: *“ნამძვის ხე ვის არ ჰყვარებია, მაგრამ როცა არც ერთი ხე არ დაგირგავს მთელი წლის მანძილზე, აჩეხო ნამძვი იმისთვის, რომ სულ რაღაც ერთი კვირით დაიმშვენო სამყოფელი, არამგონია საკუთარი მიწა-წლის სიყვარული იყოს.“*

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

თბილისი, წერეთლის გამზირი # 72, ტელ: +995 32 235 51 54 / 235 77 37,

ელ- ფოსტა: info@cipdd.org

პროექტი ხორციელდება დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის (NED) მხარდაჭერით



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world